ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

20.08.2013 №141

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^7 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 12 აგვისტოს №01.15/156 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საქართველოს ტექნიკური, უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე თანდართული პირობების შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 22 აგვისტოდან 2013 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით. განაცხადები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (მე-4 სართული, ოთახი №423). მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №60, ტელ: 2 22 74 01, 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 27 სექტემბერს, 12 საათზე.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- **ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების ხელმძღვანელი** – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროლოგი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 1.0 საშტატო ერთეული
- **მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელი** – სპეციალობით ინჟინერ-ეკოლოგი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 1.0 საშტატო ერთეული

ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს უმაღლესი განათლების მქონე პირმა, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის სფეროში.

კონკურში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს :

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ;
2. ავტობიოგრაფია (CV) ;
3. კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;
4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა (დამოწმებული);
6. ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებებს;
7. ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის თაობაზე (ჩამონათვალი);
8. ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული პეტენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტებისა და სხვ. ჩამონათვალი;
9. შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის (სხვა სამეცნიერო ან სასწავლო ორგანიზაციის წარმომადგენელი) რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია).